საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1679-03
07/09/2021

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამების სტუდენტების 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის N6 სხდომის გადაწყვეტილების გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამების 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. ამ ბრძანების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 27 აგვისტო;
3. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე;
4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლას და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

გიგა ზედანია

რექტორი